ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2019 წლის ოქტომბერ 2020 წლის აგვისტოს განვლილ პერიოდში გაწეულ მუშაობის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად. 2019-2020 წელს კომისიამ ჩაატარა 12 სხდომა და ორი გაერთიანებული კომისიების სხდომა.

კომისიაში გაწევრიანებულია 11 საკრებულოს წევრი. კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე.

საკითხებს განვიხილავდით მერიის სოციალურ სამსახურთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან კორდინირებული მუშაობის რეჟიმში. ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედებს 6 ძირითადი და 22 ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვცდილობთ მერიის შესაბამისი სამსახურებთან ერთად, რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს შევუმსუბუქოთ მდგომარეობა და გავუწიოთ დახმარება სოციალური მიმართულებით. მიმდინარე წლის 6 თვეში დაზუსტებული გეგმა წარმოადგენს 685,650 ათას ლარს. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 554,060 ათასი ლარი.

კომისიამ მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად 2019 წლის ოქტომბერში იმსჯელა იმ ბენეფიციარების კრიტერიუმებზე, რომლებსაც შეშა გამოუყო. დადგინდა კრიტერიუმები მარტოხელა, დავარდნილი და ძალიან გაჭირვებული ოჯახები. შეძენილი იქნა მერიის მიერ 60მ/კუბი საშეშე მერქანი და გადაეცა 30 ოჯახს 2მ/კუბის ოდენობით თითოეულ ბენეფიციარს. ეს პროგრამა სამწუხაროდ მხოლოდ დაბის ტერიტორიაზე ხორციელდება.

ნოემბრის თვეში კომისია აქტიურად ჩაერთო 2020 წლის ბიუჯეტის განხილვაში. კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტზე და ჩათვალა, რომ ის გაცილებით უკეთესია 2019 წლის ბიუჯეტზე. ბიუჯეტში გაზრდილია თანხები სოციალური მიმართულებით. იმავდროულად კომისიამ შეიმუშავა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად მერს წარუდგინა შენიშვნები. კომისია თვლის, რომ ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაზრდა 60 ათას ლარამდე არსებულზე უკეთესია. კომისიამ აქტიურად დაუჭირა მხარი ა/ო „ნაბიჯი ხარაგაულის“ მიერ განხორციელებული პროექტის „ ჩვენ აქ ვართ“ ფარგლებში შექმნილ შ.შ.მ. პირთა მშობელთა კომიტეტის მიერ შემუშავებული „ განსაკუთრებით მძიმე შეზღუდვების მქონე პირთა ოჯახების დახმარებას. დახმარება მიზერულია, მაგრამ ბენეფიციარები კმაყოფილი არიან. პროექტი წარმატებით ხორციელდება. დეკემბრის თვეში გამართულ კომისიის სხდომაზე ვიმსჯელეთ სადღესასწაულოდ გასაცემი თანხის ოდენობაზე და ბენეფიციართა კრიტერიუმზე. საახალწლოდ დასახმარებელ ოჯახთა რაოდენობა შეადგინა 208 ოჯახმა გაიცა 10 400 ლარის ფინანსური დახმარება. უნდა აღინიშნოს, რომ საახალწლოდ

დასახმარებელ ოჯახთა სიები წარმოადგინეს მერის წარმომადგენლებმა და მაჟორიტარმა დეპუტატებმა. ასევე კომისიის სხდომაზე გადაწყდა, რომ საშობაო „ალილოს“ დღესასწაული მიგველოცა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტაციულ ერთეულში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისთვის. დახმარება გაეწია 250 ოჯახს. 5417 ლარის ღირებულების დახმარება საკვები პროდუქტებით. 2019 წლამდე „ალილოს“ მსვლელობა დღესასწაული ეწყობოდა დაბა ხარაგაულში. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობამ გაითავისა და ტრადიციულად იქცა საშობაო „ალილო“ს მსვლელობა და მერიასთან ერთად მოსახლეობაც აქტიურად ეხმარება გაჭირვებულ მოქალაქეებს.

კომისიამ 2020 წლის იანვარში მოისმინა მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად შეაფასა სამსახურის ანგარიში. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში სამსახურის მიმართ არცერთი შენიშვნა, ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რაც მისასალმებელია.

კომისიამ 2020 წლის თებერვლის თვეში მოისმინა საზ. ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ 2019 წლის საანგარიშო პერიოდში. კომისიის წევრთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არსებული დაფინანსების ფარგლებში სამსახური კარგად ართმევს თავს მოსახლეობის მომსახურებას.

კომისიამ მოისმინა ა(ა)ი.პ „სათნოების სახლი“ დირექტორის გ. ჩიჩილიძის ინფორმაცია 2019 წელს სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. 2019 წელს „სათნოების სახლის“ ბიუჯეტი არ შეცვლილა, ემსახურება 73 ბენეფიციარს. კვება არის ნორმალური, მომსახურებაც კარგი. ჰყავთ ექთანი, რომელიც მოსულ ბენეფიციარებს უსინჯავს წნევას და აძლევს წამალს საჭიროების შემთხვევაში. ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს განსაკუთრებული საჭიროების მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარებას.

კორონავირუსის პანდემიის გამო გარკვეული პროექტები ვერ ხორციელდება. ბრაილის შრიფტის პროგრამა წლებია ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. კომისია განათლების კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის კომისიასთან ერთად (თავმჯდომარე დავით კიკნაძე) ჩართული ვიყავით ყველა იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელიც შემსწავლელ ჯგუფს გააჩნდა.

კორონა ვირუსის გამო „ სათნოების სახლის“ ჩართულობით დახმარებები მოწყვლად ჯგუფებზე გაიცა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე სასურსათო ნობათი გაიცა 70 წელს გადაცილებულ , მარტოხელა 200 მოქალაქეზე. სოციალური კალათის მთლიანი ღირებულება შეადგენს 6,500 ლარს, ხოლო ერთეულის ფასი განისაზღვა 32 ლარით.

მეორე ეტაპზე სასურსათო ნობათი გაიცა 102 მრავალშვილიან და 60 სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ოჯახებზე. სოციალური კალათის მთლიანი ღირებულება შეადგენს 5508 ლარს, ხოლო ერთეულის ფასი განისაზღვრა 34 ლარით.

პროდუქტის გაცემა მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და ხარაგაულის მერიის მოიხალისეთა ჯგუფის მიერ. სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 24,0 ათასი ლარი და შეძენილი იქნა საკვები პროდუქტი სხვადასხვა გაჭირვებული ჯგუფისათვის. ასევე სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 9,2 ათასი ლარი სხვადასხვა საჭიროებისათვის.

კომისიის და მთლიანად საკრებულოს წევრების აქტიური ჩართულობით მაისის თვეში ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამაში 30 ათასი ლარი, ხოლო ივნისის თვეში 15 ათასი, სულ 45 ათასი ლარი ჩაირიცხა. რამაც კიდევ მეტ მოქალაქეს შეუმსუბუქა სოციალური ყოფა.

სტიქიური მოვლენების და ხანძრების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების დახმარების პროგრამით დახარჯულია 114,785 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია 2019 წელს ლეღვანში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაცია. 91345 ლარი. განვლილი 6 თვის განმავლობაში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 550 მოქალაქეს თანხით 54 950 ლარი. გასულ წლებთან შედარებით ერთჯერადი ფინანსური დახმარებები გაორმაგებულია. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 1159 ოჯახია სოციალური შემწეობის მიმღები. კომისია მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაუყოვნებლივ უგზავნის შუამდგომლობებს მოქალაქეთა შესახებ, რომლებიც არ ეთანხმებიან მინიჭებულ სარეიტინგო ქულებს და ითხოვენ ვადაზე ადრე გადამოწმებას სოც. აგენტის მიერ.

კომისიამ განიხილა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ 2020 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის შედეგები. სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის ინფორმაციით ბიუჯეტით გათვალისწინებული მოქმედი ძირითადი და ქვეპროგრამები მოქმედებს შეუფერხებლად. გაზრდილია ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. ასევე განვიხილეთ საზ. ჯანდაცვის ცენტრის მიერ განვლილ 6 თვეში გაწეული მუშაობის შედეგები. დირექტორის შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაციით მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში შესრულებულია პროფილაქტიკური აცრების გეგმა. კორონავირუსის ინფექციის გავრცელების გამო ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებდა ყველა იმ ღონისძიებას რაც საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული ბრძანებებით და შემუშავებული პროტოკოლებით იყო და არის ამ ეტაპზე გათვალისწინებული.

კომისიამ მოისმინა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სურსათის უვნებლობისა და სანიტარული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. კომისიას მდგომარეობის შესახებ მოახსენა ავთანდილ ვეფხვაძემ. (ს.გ.ს. ინსპექტორი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში) მან აღნიშნა, რომ ხარაგაულის რაიონის მოსახლეობაში არსებული მსხვილფეხა პირუტყვი არის აცრილი. იყო ლოკალური შემთხვევა ლეღვნის ტბის ტერიტორიაზე, რომელიც უსწრაფესად იქნა აღმოფხვრილი. პირუტყვის დაკვლა და რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ სასაკლაოზე. დაკლული და ლაბორატორიულად შემოწმებული, რომელსაც უნდა ჰქონდეს საბუთი და ხორცი უნდა იყოს ბეჭდით დამოწმებული. ამჟამად რაიონის მთელ ტერიტორიაზე წარმოებული ხორცი და რძის პროდუქტები არის ჯანსაღი და უვნებელი.

კომისია დიდი ყურადღებით ექცევა როგორც მოსახლეობის ასევე საკრებულოს სხვა წევრების მიერ დაყენებულ საკითხებს და თავის კომპეტენციის ფარგლებში პასუხობს, დახმარებას უწვს და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს და მერს საკითხის მოგვარების მიზნით.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე: /გ.თხელიძე/